ქ. თბილისი, სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ერეკლე II ქ. №11-ში მდებარე შენობის სარდაფის სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე

თბილისი

2016

კალა – ზემო უბანი

თბილისის ცენტრალური უბანი – კალა ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ქვემო და ზემო უბნებად. ამ ორი კვარტლის გამყოფი ხაზი დღევანდელი ლესელიძის ქუჩაზე გადიოდა. ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს ქვემო უბანი ერქვა, ხოლო მარცხენას ზემო უბანი. ქალაქის ეს ორი ნაწილი იმითაც განირჩეოდა ერთმანეთისაგან, რომ ზემო უბანი ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული, ქვემო უბანში კი ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების ხალხიც ცხოვრობდა. ამასთანავე, ზემო უბანი, უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა, ვინაიდან სასახლეები დიდებულებს აქ ჰქონდათ და აქვე გადმოვიდნენ XVII საუკუნიდან საცხოვრებლად ქართლის მეფეები.

თბილისის ხუროთმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილიც ზემო უბანში იყო აგებული - სიონის, ანჩისხატის, იოანე ნათლისმცემლის, წმიდა გიორგის, კვირაცხოველის სახელობის ტაძრები...

ამ უბნის მთავარ არტერიას წარმოადგენდა ქალაქის ჩრდილოეთ გალავანში არსებული წყლის კარიდან ბატონის მოედნამდე მტკვრის პარალელურად გამავალი ქუჩა, რომელიც შემდგომ თითქმის თათრის მოედნამდე გრძელდებოდა. სწორედ ამ გზაზე იყო აგებული ქალაქის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო თუ საცხოვრებელი ნაგებობები. დასაწყისში ამ ქუჩის ერთ ნაწილს წყლის კარის ქუჩა ერქვა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მას ეს სახელი გადაარქვეს და ანჩისხატის ქუჩა უწოდეს. ზემო უბნის ეს მაგისტრალი მიუყვებოდა დღევანდელი შავთელის ქუჩის, ერეკლე II-სა და სიონის ქუჩის მიმართულებას. ამ ქუჩაზე სახლობდა ქართული არისტოკრატია. ანჩისხატის ტაძრის სამხრეთით აგებული იყო ბატონიშვილის სასახლე, დედოფლის სასახლე და კარის ეკლესია. ოდნავ ზემოთ კი მდებარეობდა ბატონის მოედანი. ეს უკანასკნელი დაახლოებით დღევანდელი ერეკლე II-ის მოედნის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. ბატონის მოედნის აღმოსავლეთ სექტორში, მტკვრის პირას, როსტომ მეფეს სამეფო სასახლე აუგია. ეს ადგილი მას მუშრიბ (მწერალ) სულხან ფარეუზაშვილისაგან უყიდია. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი როსტომისეულ სასახლეს ასე აღწერს: „მთავრის სასახლე,

უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენებაა. მას აქვს დიდი დარბაზები, რომელიც მდინარესა და სასახლის უზარმაზარ ბაღებს გადასცქერიან... ამ სასახლის წინ კვადრატული მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა“. მეორე ფრანგი მოგზაური ტურნეფორი მეფის სასახლის თაობაზე შემდეგს მოგვითხრობს: „ციხის ძირში მდებარე მეფის სასახლე ძალზედ ძველია, მაგრამ ამ ქვეყნის კვალობაზე საკმაოდ კარგად არის მოვლილი. სასახლის წინ განლაგებული ბაღები, ძაღლის ხუხულაში საბაზიერო... მოედანი და ბაზარი... საინტერესო სანახავია“.

XVII საუკუნის მიწურულს როსტომისეული სასახლის გვერდით, თავის სასახლეს აგებს ერეკლე I. XVIII საუკუნის დასაწყისში კი ზემო უბანში კიდევ ერთი სამეფო სასახლე ჩნდება. მას ვახტანგ VI აგებს. ამდენად, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სიონსა და ანჩისხატს შორის სამი სამეფო სასახლე იდგა: როსტომისეული, ერეკლე I-სა და ვახტანგ VI-ის.

XVIII საუკუნის I ნახევარში „ოსმალობამ“ და „ყიზილბაშობამ“ სამეფო სასახლეებსაც თავისებური კვალი დაამჩნია. მტერმა ქართველ მეფეთა რეზიდენციები მნიშვნელოვნად დააზიანა. მოძველებული სასახლეები ჯერ თეიმურაზ II-მ, ხოლო შემდეგ ერეკლე II-მ საგულდაგულოდ განაახლეს. პლატონ იოსელიანის აღწერით, მაგალითად, ერეკლე II-ის სასახლის სიგრძე 137 მეტრს უდრიდა. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ბატონის მოედნის ირგვლივ არსებული მეფის, დედოფლისა და უფლისწულის სასახლეები გადაწვა და დაანგრია. ამის შემდეგ, სამეფო კარი იძულებული გახდა საცხოვრებლად ქვემო უბანში გადასულიყო. ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII იოსებ ბებუთაშვილის სახლში დამდგარა.

XIX საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ ბატონის მოედნის რეკონსტრუქციის შემდეგ შუა საუკუნეობრივი დაგეგმარებიდან არაფერი შემორჩა.

ბატონის მოედნიდან თათრის მოედნისაკენ რამდენიმე გზა მიდიოდა. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მაგისტრალი დღევანდელი ერეკლე II-ის ქუჩას მიუყვებოდა. აქ იყო ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო უბანი – რასტაბაზარი. შემდეგ ეს ქუჩა დღევანდელი სიონის ქუჩით თათრის მოედნისაკენ მიემართებოდა. ლესელიძის, ერეკლეს ქუჩისა და სიონის ქუჩის შესაყარზე

მდებარეობდა გადახურული სავაჭრო მოედანი „პატარა ჩორსუ.“ ამ ადგილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სიონის საკათედრო ტაძარი. სიონის სამხრეთით არწრუნის ქარვასლაა. ამ ადგილას ქარვასლა ჯერ კიდევ როსტომ მეფემ ააგო, ხოლო შემდეგ იგი თბილელ ეპისკოპოსს უბოძა. მოგვიანებით ქარვასლას ერეკლე II-ს შვილიშვილი ფლობდა, XIX საუკუნეში კი არწრუნთა შეძლებული საგვარეულო. არწრუნის ქარვასლის პირდაპირ თეკლა ბატონიშვილის ქარვასლა მდებარეობდა. სიონის ქუჩიდან თათრის მოედანზე რამდენიმე პატარა ქუჩა მიემართებოდა – ბამბის რიგი, რკინის რიგი, ბნელი რიგი (დღევანდელი შარდენის ქუჩა). ამ ქუჩებზეც სავაჭრო დუქნები იყო ჩამწკრივებული.

ზემო უბნის მეორე მნიშვნელოვან ქუჩას ვერცხლის ქუჩა წარმოადგენდა, რომელიც ქალაქის გალავანში დატანებული დიღმის კარიდან იწყებოდა და დღევანდელ ლესელიძის ქუჩას უერთდებოდა. ამ ქუჩაზე თავისი სახელოსნოები ძირითადად ოქრომჭედლებს ჰქონდათ გამართული.


გარდა ამისა, ზემო კალა რამდენიმე მიკრო უბნად იყო დაყოფილი: მუხრანთ უბანი, ორბელიანთ უბანი, კვირაცხოვლის უბანი და სხვა.

ამჟამად, ზემო უბანში შემორჩენილი არქიტექტურული ნაგებობების დიდ ნაწილს გადაუდებელი დახმარება ესაჭიროებათ – ცნობილი ხუროთმოძღვრული ძეგლების გარდა (სიონი, ანჩისხატი და სხვა), ზემო უბანში მრავლადაა შემონახული კერძო თუ საზოგადო დანიშნულების ძალზე საინტერესო შენობები.

საპროექტო ობიექტი

ერეკლე II-ეს ქუჩა, რომელზეც ჩვენი საკვლევი ობიექტი მდებარეობს, უბნის ურბანული ქსოვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ორი მნიშვნელოვანი ცენტრის ანჩისხატის სიონთან მაკავშირებელ რგოლად გვევლინება. ქუჩა მცირე მონაკვეთში, ლესელიძის ქუჩის პარალელურად ვითარდება და საინტერესო სტრუქტურას ქმნის. ქუჩაზე არსებული შენობები ორგანულად ერგებიან მის ფორმას, და თავისი კომპლექსურობით, თბილისის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ.

უშუალოდ ჩვენი საკვლევი შენობა, ერეკლე II-ის ქუჩა №11 ამ კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია, რომელიც ქუჩის საერთო სურათში ორგანულად არის ჩართული.



20105 წლის კულტურის უძრავ ძეგლთა რუკა, დეტალი

მართკუთხა ფორმის ნაგებობა, ძირითადი ფასადით ერეკლე II-ის ქუჩას ეხსნება. უკანა ფასადით კი ტყავის ჩიხზე გადის. ორსართულიანი ნაგებობა, დამჯდარი პროპორციით ხასიათდება.

შენობის ძირითადი საფასადო კომპოზიცია, სტილისტურად ეკლექტური, კლასიცისტური ელემენტებით არის გადაწყვეტილი. ფასადი მკაფიოდ სიმეტრიულია. ცენტრალური ნაწილი, მასიურ ხის აივანს (ამჟამად შუშაბანდს) უჭირავს. ფრონტონით დასრულებული გვერდითა მონაკვეთები, მეორე სართულზე თაღოვანი ღიობით, ხოლო პირველზე სწორკუთხა ღიობით არის აქცენტირებული.



ერეკლე II ქ. №11

ფასადის ძირითადი მხატვრული გადაწყვეტა, ერთის მხრივ არქიტექტურული ელემენტების გაფორმებით, სხვადასხვა მასალების კომბინაციით იქმნება. შენობა აგურით არის ნაგები, მისი ნაწილი დეკორატიული ნალესობით იფარება, რომელიც დეკორატიულ რუსტს გულისხმობს. რუსტია გამოყენებული შენობის

პირველი სართულის სწორედ აგურისა და ნალესობის კომბინაცია განსაზღვრავს შენობის მხატვრულ გამომსახველობას და ფერადოვნებასაც. საინტერესოა შენობის სარდაფის სართული, რომელიც ფართე სათავსს მოიცავს, დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სარდაფი შენობის თანადროულია.



1897 წლის პლანშეტი. დეტალი

შენობის ისტორიის მოძიების თვალსაზრისით, დავამუშავეთ ქ. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალა, კერძოდ 1897 წლის პლანშეტები, სადაც დეტალურად არის დატანილი ისტორიული განაშენიანება კონტურების მიხედვით. აღნიშნულ მასალაზე ნათლად იკითხება ჩვენი საკვლევი ობიექტი, რომელიც თავისი მასშტაბითა და კონფიგურაციით ზუსტად იმეორებს დღევანდელ სურათს. შენობის მხატვრულ-სტილისტური, არქიტექტურული ანალიზით ირკვევა, რომ ის XX I ნახევარს არ უნდა სცდებოდეს, სრულიად დასაშვებია, რომ რუკაზე ამჟამინდელი შენობა იყოს დატალინი. ამდენად ზუსტდება მისი აგების თარიღი, XIX ს-ის II ნახევარი. თუმცა სრულიად

ცხადაი, რომ ამჟამინდელი შენობის ადგილას სხვა ნაგებობა იდგებოდა, რომლის კვალიც ვიზუალური დათვალიერების შედეგად არ იკითხება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, შენობის სარდაფის სართულის რეკონსტრუქცია იგეგმება. უნდა აღინიშნოს რომ სარდაფის სართული მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. ჩადის წყალი, რაც აზიანებს არამხოლოდ ინტერიერს, არამედ საფრთხეს უქმნის თავად შენობას. შესაბამისად დასამუშავებელია დეტალური პროექტი, რომელიც დაადგენს დაზიანების გამომწვევ მიზეზებს და ამავდროულად აღმოფხვრის მას. შესაბამისად პროექტის განხორციელება დასაშვებად მიგვაჩნია, თუმცა სამუშაოები უნდა განხორციელდეს სიფრთხილით და დელიკატურად რადგან საქმე გვაქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთან, რომელიც თავისთავად ძალზედ სენსიტიურ ადგილას მდებარეობს.



ერეკლე II ქ. №11. სარდაფის სართული

ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ პროექტი დამუშავდეს შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე;
- ✓ რეკონსტრუქციისას გათვალისწინებულ იქნას სარდაფის ავთენტური სახე;
- ✓ შენარჩუნებულ იქნას სარდაფის შიდა გეგმარებითი სტრუქტურა, თაღები;
- ✓ რეკონსტრუქცია განხორციელდეს სიფრთხილით და ძეგლთადაცვითი ინტერესების გათვალისწინებით.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია